





ყვლებისა. უნდა მოგახსენოთ, რომ ეს ქურდები გახლანთ ისე ქიზიყელები, მეზობელი და ძმაკაცი; შორს წასვლას უფრო მეზობლის გაცარცვა ურჩევნიათ? ქიზიყის ყველა სოფელში სამი, ოთხი ქურდი, ყაჩაღი იმყოფება და ამისთანა ხალხს ყოველი მამასახლისი იცნობს, მაგრამ ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ.

მეოთხე მიზნებიც მართლა გვაქვია. პარიზის პირველ ორ კვირას თითქმის განუწყვეტლივ წვიმს ხალხი. ამის შემდეგ მარიამობის თვის გასვლამდინ პაპარაქი დღეებია. აი, მაშინ არის გლეხების თავი ცემა: დიდი, პატარა, კაცი, ქალი თითქმის სულ ტირიან. მთხი თვის განმელობაში, იქნება ერთხელ მოვიდეს წვიმა; მაგრამ ვაი იმ მოსვლას: თუ მოვა, მთელ ქიზიყს წარღვრის, არ მოვა და—გადიწვება.“

აი, ამისთანა მდგომარეობაში არიან ქიზიყელები და ყოველ ამ მიზეზის გამო არიან ესრე გაწყალდებულნი.

შ. ნაცვალაძე

### უცხო ქვეყნები

**საზრანბათი.** („დრონიკა“ კორ.) ამას წინათ, თუ გახსოვთ, გწერდით შესახებ ეხლანდელი მერსალის ნაციონალური კრების დაშლისა სამუდამოთ ამ წლის დამლევისათვის. მაშინ ეს ამბავი თითქმის ქორი იყო, ეხლა კი ნამდვილათ გადაწყვეტილია ყველა პოლიტიკურ წრეებში. მართებლობაც, როგორც უკანასკნელი გაზეთებიდან ვეცნობოდით, თანახმა არის, ოღონდ კი კრებამ გაათავოს ზოგიერთი უმთავრესი საკმეები, რომელნიც შეადგენენ მიუცილებელ საჭიროებას ქვეყნისათვის.

მგონია, საინტერესო იქნება, რომ წარმოგიდგინოთ სია რიცხვითა იმ პროექტებისა ანუ საზოგადოთ საქმეებისა, რომელიც დარჩენია აქამომდე კრებას გაუთავებლათ; ეს არის რიცხვით 193, რომელიც გაყოფილია სამ რიგით: 1) 56 პროექტი მზათ არის წარსადგენათ კრებაში; 2) 27 პროექტი ჯერ კომისიებშია და არ არის გადაცემული და გადაცემა მაშინ, თუ კრებამ ყურადღების მისაღებათ დაინახა; 3) 115 პროექტი ჯერ კიდევ სხვა და სხვა კომისიებშია განსახილველათ და ერთი-სახელმწიფო რჩევაში. შევლა ამ პროექტების მიუცილებლათ გადაწყვეტას და მიღებას თხოულობს ეხლანდელი კრებიდან მხოლოდ ექვსი თუ შვიდი, როგორც მაგალითებ დაბატებითი კონსტიტუციის კანონების შედგენა, სახებდრო კანონების დამატება, მომავალი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონები, ახალი კანონები პრესისა, ახალი კანონი დეპუტატების ამორჩევისათვის და სხვა. დარჩენი პროექტები კრებას შეუძლიან დაუტევოს ახალ დეპუტატების პალატას განსახილველათ. მართის სიტყვით, როგორც ყველა ანგარიშებიდან სჩანს, ამ კრებას დიდი ხნის სიცოცხლე არა აქვს, ამას უფრო გვი-

მტიკებს ის მოძრაობა, რომელიც არსებობს როგორც პრესაში აგრეთვე მთელს ქვეყანაში. პოლიტიკა გაზეთებში, დეპუტატების წერილები მათ ამომრჩეველთან, ანუ წარმოთქმული მათგან სიტყვები სხვა და სხვა კრებებში იმაზე მიმართული, რომ ხალხი მოამზადონ პოლიტიკური ომისათვის, ე. ი. მომავალი ამორჩევისათვის, სადაც ყველა პარტიები ერთმანეთს უნდა დაეტაკონ და გამოცადონ თავიანთი ნამდვილი ძალა და განვლენ ქვეყანაში, და ვინც კი ამ ომიდან გამოვა გამარჯვებული, შემდეგისათვის ბურთი და მაიდან იმას უნდა დარჩეს მიუცილებლათ.

მისაც ახალი კონსტიტუციის კანონები წაუკითხავს, მოაგონდება: 1) რომ პირველათ სენატი უნდა ამორჩეს, დეპუტატების პალატა კი შემდეგ სამის თვისა და ეხლანდელი ნაციონალური კრება დაიშლება იმავე დღეს, როცა სენატი შევა თავის მოვალეობის აღსრულებაში; 2) რომ ახლად შედგენილი რესპუბლიკის კონსტიტუციის რევიზიის მოხდენა შეუძლიანთ სენატს და დეპუტატების პალატას უბრალო ხმის უმეტესობით; ეს რევიზია იმაში მდგომარეობს, რომ თუ ამ ორმა პალატამ საჭიროთ დაინახა, ან თუ მოინდომა რესპუბლიკის კონსტიტუციის მაგიერ შეუძლიათ შეადგინონ მონარქიული კონსტიტუცია და მოიწვიონ ერთ-ერთი მეფის შთამომავლობა საფრანგეთის ტახტზე; და 3) რესპუბლიკის პრეზიდენტს სენატის ნებადართვით შეუძლიან ვადის გასვლამდის დაითხოვოს დეპუტატების პალატა. ამ კანონებს მისთვის ვახსენებ მკითხველს, რომ დაეინახო. თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ პირველი სენატის ამორჩევას ქვეყნისათვის, და რასაკვირველია, რომ ყველა პარტიები თავი-გადადებულა, რომ რაც შეიძლება ისეთი წევრებისაგან შედგეს სენატი, რომელიც მას უფრო ემხროება. ეს არის ამ ქამათ უმთავრესი საგანი საფრანგეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში და რესპუბლიკის ბედი და უბედურება ამ საგანზედ არის დამოკიდებული.

აგრეთვე ბიუჭყეს, შინაგანი საქმეების მინისტრის, მოქმედება და მისი არხი-ლიბერალური ყოფაქცევა შეადგენს გრეთვე რესპუბლიკის პარტიისათვის საყურადღებო საქმეს. მის არ ახსოვს, რომ ყველა ვისაც კი სამშობლოს ბედნიერება და მყუდროება სურს, იმის ყვირილში და ჩივილში იყენენ და არიან, რომ ყველა ადმინისტრაციის ჩინოვნიკები ბონაპარტისტებია და უწარჩინებულესი ალაგება მათ უკავიათო. ბიუჭყესაგან იმას ელოდნენ და თხოულობდნენ, რომ ესენი გადაეყენებინა, როგორც მანებებლნი პირნი ქვეყნისათვის და მათ ალაგზე დაენიშნა უფრო საიმედო და პატივცემული კაცები. ამნაირი მოთხოვნისათვის რესპუბლიკელებისაგან კანონიერი მოთხოვნისათვის არის, ჩემის ჰაზრით, რადგანაც, იმ დღიდან რაც რესპუბლიკის კონსტიტუცია

მიიღეს და რაც რესპუბლიკა განდამდვილ მმართველობათ, შემდეგ სისულოელა, პოლიტიკური სიმხეცვა და ქვეყნის ღალატით ჩაითვლება იმისთანა კაცების სამსახურში დატოვება უპირველეს ალაგებზე, სადაც განუსაზღვრელი გადღენა აქვთ ხალხზე და რომელნი სამსახურის და კანონის მორჩილების მაგიერ, აგონებენ უფუფურ სოფლის მუშა ხალხს კანონიერი მმართველობის და კანონის წინააღმდეგობას და თუ უბიუჭყე ნამდვილი რესპუბლიკის მინისტრია, უნდა მიექცია რიგიანი ყურადღება ამ უმეტესობის სურვილისთვის; მაგრამ ნუ გაგიწყურეს ლმერთი, იმას ერთი ბიჯიც არ გადაუდგამს ჯერ იმ პროგრამისათვის, რომელიც დეპუტატთა იმ საშეილისში-ლოთ დატოვდა და რომელს ასე ნაყოფიერად ხმარობდნენ რესპუბლიკის დასამარცხებლათ და იმპერიის და იმპერიისათვის სასარგებლოთ.

ამ ერთ თვეში სამჯერ მოხდა პრეფეტების გადაყვან-გადმოყვანა და ზოგიერთების კიდევაც სამსახურიდან გამოსვლა. ეს მშვენიერი შემთხვევები ბიუჭყემ ხელიდან გაუშვა, მაშინ როდესაც იმას შეეძლო ქვეყნისათვის დაემტკიცებინა, თუ რაიჭე უკუღმართი ჰაზრები თავში არ უზის, რომ ის დასტურ დამცველია ახალი წყობილებისა და სულითა და გულით ჰსურს, რომ ამ წყობილებაში ამ კონსტიტუციამ რაც შეიძლება უფრო კეთილი ნაყოფი მოუტანოს ქვეყნას, მაგრამ, რაღა! რესპუბლიკურმა კონსტიტუციამაც ქვეყნას ვერაფერი სარგებლობა ვერ მოუტანა, რადგანაც მხოლოდ კანონები გამოიცვალა და არა კანონების ამსრულებელნი. ძველი ტრადიციის ძალით ბიუჭყემ ისევე ბონაპარტისტებს ჩაუგდო ხელში ძალა და უფლება.

ამგვარმა მისმა მოქმედებამ რესპუბლიკელები და ლიბერალები მოთმინებდნენ რომ გამოიყვანოს, გასაკვირვებელი არა იქნება რა; ჯერ ჯერობით კი მარტო პრესა უკმაყოფილებას უცხადებს სამინისტროს და უფრო ბიუჭყეს მოქმედებაზე. მგონია, ეს ჩემი უთანხმოება და პრესის უკმაყოფილება ბევრ ხანს უნდა არ გაგრძელდეს უნაყოფოთ, ან სამინისტრო უნდა დაემორჩილოს ქვეყნის სურვილს და ან როგორც უსარგებლო ქვეყნისათვის ადგილი უნდა დაუტოლონ სხვებს უფრო პატიოსნებს და მუშა პირებს. ნაციონალური კრების სხდომები 10 მაისს დაიწყება და მაშინ, შეიძლება, კონსტიტუციის დამცველებმა ანგარიში მოსთხოვონ სამინისტროს და ისეც ადვილათ მოხდება, რომ უკმაყოფილებაც განუქნადოს იმგვარი მოქმედებებისათვის. ამნაირათ თუ მოიქცა კრება, რასაკვირველია, ამას სამინისტროს კრიზისი მოჰყვება და ადვილათ შესაძლოა, რომ სანამდის ამ წერილს მიიღებდეთ, ჩვენ აქ ახალი სამინისტრო გვეყოლოს.

P. S. დღეს პარიჟელები მერსალისაკენ გასწევენ, ერთი მისთვის, რომ პირველი მაისის კვირაა და მეო-

რე მერსალის პარკის დაფუძნების განები (ფანტანები) უნდა დაუწყონ. ზუშინ გადღეს Palais de L'Industrie-ს კარები, რადგანაც წლიური მხატრობების გამოტენა დაიწყო.

დ. დ.

პარიჟი, 2 მაის.

### ქრონიკა

#### შესავალი საქართველოს ისტორიისა

**I. ისტორიის მიზანი**  
იყო ისრეთი დრო, როცა საქართველოში კაცი არ სცხოვრებდა: აქაური მიწა იყო შეუშუშავებელი და დაფენილი მშვენიერის ტყეებითა და ველებითა. იმ ალაგებში, სადა ახლა ქალაქებია აშენებული და ხალხი სახლობს, წინაპირველად აქ ქართველების მამა-პაპა სცხოვრებდა ტყეებში და უდაბურს ადგილებში, გადადიოდა ერთის ალაგიდან მეორეზე, — და ამ სახით არსებობდა და იკვებებოდა.

ამ დროს მართლმსაჯულების კანონები არ იყო და ამისათვის ვინც უფრო ხელ-მარჯვე და მძლავრი იყო, იმას ეკუთვნოდა ცხოვრებაში ზურთი და მიედანი: იმას ჰქონდა უფლება წაერთვა უღონო და სუსტი კაცისათვის ის, რაც იმის საკუთრებას შეადგენდა. მძლავრობით სხვათა სარჩოს დასაკუთრება შეადგენდა კანონიერებას.

ასრე იყო ამ დროს სხვა ხალხებშიაც.

ამ გვარი მდგომარეობა შესაძლო იყო მხოლოდ მაშინ, როცა კაცობრიობის ტომი ჯერ ყმაწვილურს მდგომარეობაში იყო და არ ესმოდა ურთიერთის მფარველობის სარგებლობა. მაგრამ რადგან მძლავრობა ჰსუფევდა ქვეყანაზე იმისთვის, რომ კაცობრიობა არ იყო ჰასაკში მოსული, ამისათვის ეს უკანონოდ მოქმედება დღეს თუ ხვალ უნდა შეცვლილი ყოფილიყო. ღეთის განგებით კაცობრიობა ნელა-ნელა გამოდიოდა თავის ველურის მდგომარეობიდან: იმისი გონება იფურჩქნებოდა და საუკუნიდგან საუკუნოზე უფრო და უფრო გონიერდებოდა, ადგებოდა უფრო მშვენიერს ხალხოსურს სახელმწიფო წესებს და ყოფა-ცხოვრებას.

აი, იმ სახსრების ახსნა, რომლებითაც კაცობრიობა ხელმძღვანელობდა ცხოვრებაში და ბაჯს ადგამდა განათლებას და იხსნებოდა გონებით, ხალხის რომელნი პირნი უფრო მომეტებულს მხნეობას და მოქმედებას იჩენდნენ—აი ამეების ახსნა და კრიტიკულად გარკვევა შეადგენს ისტორიის წინადადებას—მიზანს. ამ შემთხვევაში ის წარმოგვიდგენს სხვა და სხვა თემების, ხალხების ცხოველს სურათს.

ისტორია გადმოგვიტანს წინ, როგორც ერთს ფერად-ფერადს ცხოვრების ხალხის, წარსული საუკუნოების შემთხვევებს, გარემოებებს; გვაცნობებს სხვა და სხვა ფაქტებს, ხალ-

